„ამბივალენტური“ სოლიდარობა ქართულ სამოქალაქო აქტივიზმში
(სამი შემთხვევის ანალიზი)

ნინო ხელაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ზვიადაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ხელაძე, 2019 წ.“

აბსტრაქტი

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისას სამოქალაქო აქტივიზმის გააქტიურების ფაქტორი განსაკუთრებულ გავლენას ახდენს დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე, ვინაიდან ზრდის მოქალაქეთა ჩართულობას პოლიტიკურ პროცესებში. ასევე, მნიშვნელოვანია აქტივისტური ჯგუფებისა და სოციალური მოძრაობების ურთიერთობა, რადგან ის მოქმედებს როგორც სხვადასხვა იდეოლოგიის მატარებელ ჯგუფებს შორის, ასევე ჯგუფს შიგნით არსებულ სოლიდარობის საკითხზე. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც არსებობს მისი სხვადასხვა ფორმა, რაც ქმნის თანამშრომლობის განსხვავებულ მოდელებს.

კვლევის მიზანია შეისწავლოს სოლიდარობის ამბივალენტური ხასიათი სამი შემთხვევის ნარკოპოლიტიკის, ქალთა საკითხებისა და ანტიჰომოფობიური ჯგუფების ურთიერთობის მაგალითზე. დაადგინოს რა ახდენს გავლენას ამ პროცესზე და შეისწავლოს მისი მოქმედება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე. სოლიდარობის გამოვლინების დაკვირვებადი ფორმების ხილვა შეიძლება საჯარო სივრცეში მის რეპრეზენტაციის მაგალითებზე. აღნიშნული საკითხი განხილულია რობერტ პატნემის, იურგენ ჰაბერმასის, ლარი დაიმონდის, ემილ დიურკეიმის, ჩარლზ ტეილორისა და სხვა ავტორების თეორიების საფუძველზე.

წინამდებარე კვლევის მიზნიდან გამომდინარე მეთოდოლოგიად შეირჩა პიტერ ბერგერისა და თომას ლუკმანის კონსტრუქტივისტული მიდგომის მოდელი, რის საფუძველზეც თვისებრივი მეთოდით შესწავლილ იქნა ერთეული შემთხვევები.

კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ სოლიდარობის არსებობის საკითხზე გავლენას ახდენს იდეოლოგიური ხედვა, რაც ქმნის მის განსხვავებულ ფორმას. აქტივისტურ ჯგუფებს შორის ურთიერთკავშირები სხვადასხვა შემთხვევების მაგალითზე განსხვავდება, ვინაიდან არაერთგავროვანია კონტექსტი, ჩართული აქტორები და იდეოლოგიური ხედვები.

საკვანძო სიტყვები: სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო აქტივიზმი, სოციალური მოძრაობები, სოლიდარობა, ამბივალენტური სოლიდარობა, იდეოლოგია, ერთეული შემთხვევის შესწავლა, ნარკოპოლიტიკა, ქალთა საკითხები, ლგბტ თემი

Abstract

The factor of activation of civil activism during the formation of civil society has a significant impact on the development of democratic processes, since it increases citizens' involvement in political processes. Also, the relations between the different activist groups and social movements is of a significant importance, as it influences the solidarity issues both - the relations between groups of different ideologies and within the group. The latter is important as different forms of it exist, which creates different models of cooperation.

The objective of the research is to study the ambivalent nature of solidarity on the example of three cases: narcopolitics, women issues and anti-homophobic groups. It also aims to determine which factors impact this process and study its effect on civil society development. The forms of solidarity manifestations, which can be observed, are seen on the examples of its representation in public space. This issue is discussed with use of the theories of Robert Putnam, Jürgen Habermas, Gary Diamond, Émile Durkheim, Charles Taylor and others.

Based on the purpose of this research, the model of constructivist approach of Peter Berger and Thomas Lukman was selected as a methodology, and, therefore, case studies are being used within the qualitative method.

The study results show that the ideological vision has an impact on the issue of solidarity existence and creates its different form. The interrelation between activist groups differs in each case as there are many types of context, involved actors and ideological visions.

Key words: civil society, civil activism, social movement, solidarity, ambivalent solidarity, ideology, case study, narcopolitics, women issues, LGBT community.

მადლობა

პირველ რიგში, მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, სოფო ზვიადაძეს. ის აქტიურად იყო ჩართული კვლევის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე და მაძლევდა მნიშვნელოვან რჩევებსა და მითითებებს.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კოლეგებს საინტერესო იდეების მოწოდებისა და მხარდაჭერისთვის.